



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი
საგანმანათლებლო პროგრამა

შპს ევროპის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 29-30 მარტი, 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 3 მაისი, 2021

თბილისი

ინფორმაცია უსდ-ს შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ევროპის უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიული პირი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201954956
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსი
უმაღლესი განათლების საფეხური	ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა - მე-7 დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	დიპლომირებული მედიკოსი
დეტალური სფერო და კოდი	0912 მედიცინა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმსწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	360 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

¹ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მითითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მითითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მარგუს ვიიგიმაა, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი, ესტონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთევან კანკავა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ეკა აბუანდაძე, დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ლანა ბოკუჩავა, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამა არის დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამას აქვს ძირითადი და კლინიკური საგნების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია.

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაცია არის დიპლომირებული მედიკოსი (MD). პროგრამა დაფუძნებულია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემაზე (ECTS). პროგრამის ხანგრძლივობაა 6 აკადემიური წელი ან 12 სემესტრი და მოიცავს 360 კრედიტს (1 კრედიტი უდრის 30 საათს).

პროგრამა შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-7 დონეს. სწავლების ენაა ქართული.

პროგრამის დეტალური სფერო და კოდია 0912 მედიცინა. პროგრამა ხორციელდება შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №17, 0189, საქართველო. განმახორციელებელ დაწესებულებას წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტი, რომელიც სასწავლო უნივერსიტეტია. პროგრამის სტატუსი ახალია.

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს და აკმაყოფილებს უმაღლესი სამედიცინო განათლებისთვის ეროვნული დარგობრივი სამიზნე ნიშნულებით დადგენილ მოთხოვნებსა და რეკომენდაციებს.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

შპს ევროპის უნივერსიტეტში აკრედიტაციის ონლაინ ვიზიტი/დაწესებულებაში ვიზიტი 2021 წლის 29-30 მარტს განხორციელდა. დაწესებულებაში ვიზიტი კარგად ორგანიზებული და

შესრულებული იყო. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა ინტერვიუები ჩაატარეს შემდეგ ჯგუფებთან: უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, თვითშეფასების ჯგუფი, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, პრაქტიკის პედაგოგები/ხელმძღვანელები, დამსაქმებლის წარმომადგენლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები (ასოცირებული პროგრამების) და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ჯგუფის ყველა წევრი მრავალ კითხვას სვამდა. ინტერვიუებისას პასუხები ძირითადად ნათელი და დამაკმაყოფილებელი იყო.

30 მარტს განხორციელდა პირდაპირი ვიდეო ჩართვა საავადმყოფოებიდან/კლინიკური პრაქტიკის ცენტრებიდან. ევროპის უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ ადგილობრივი ექსპერტები. განხორციელდა ვიზიტები უნივერსიტეტის შენობაში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

ევროპის უნივერსიტეტისა და კლინიკების/საავადმყოფოების ინფრასტრუქტურა შესანიშნავია.

დაწესებულებაში ვიზიტის ბოლოს, ჯგუფის თავმჯდომარემ, მარგუს ვიგიმამ ჩაატარა პირველადი დასკვნების პრეზენტაცია.

▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1. ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამამ (რამდენადაც ის ერთ-ერთია საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამებიდან) ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების განვითარებას.
2. გთხოვთ, გააკეთოთ შემდეგი შესწორება: თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულ სტუდენტებს მოეთხოვებათ ქართული ენის კომპეტენცია B2 დონეზე, მაგრამ პროგრამის აღწერის მიხედვით, საჭიროა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.
3. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები შეცდომაში არ შეიყვანს ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს.
4. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სწავლებაში ჩართულ სტუდენტებსა და

თანამშრომლებს ესმით პროგრამის ყველა დეტალი, განსაკუთრებით სწავლის შედეგები და კომპეტენციები.

5. დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამაზე სტუდენტების მიღებამდე, არსებობს ყველა სასწავლო მასალა, მათ შორის, თითოეული კურსის „ჰენდაუთები“.
6. დაწესებულებამ განავითაროს კვლევითი-სამეცნიერო უნარები სტუდენტებში, რაც ხელს შეუწყობს კვლევით საქმიანობას და სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის აქტიურ განვითარებას.
7. სილაბუსებში მოხდეს სტუდენტების პრაქტიკული სამუშაოს დეტალების ფორმალიზება (მაგალითად, რა დრო უნდა გაატარონ მათ პაციენტების პალატებში, რამდენი და როგორი პაციენტები უნდა მიიღონ ან გამოიკვლიონ კურსის განმავლობაში).
8. ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი პრაქტიკული ჩართულობა, მათ შორის პაციენტთან ურთიერთობა, რათა უნივერსიტეტის დამთავრებისას მიღწეულ იქნეს მიზანი.
9. სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება უზრუნველყოფილ იქნეს სიმულაციური ცენტრის გარდა, კლინიკურ გარემოშიც.
10. უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების კვლევითი უნარების სათანადო შეფასება.
11. მომზადდეს ძლიერი ბაზა OSCE-ს და OSPE-ს გამოცდებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამაში დაგეგმილი დიდი რაოდენობის პრაქტიკული გამოცდების ჩატარება.
12. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტებმა რეგულარულად მიიღონ უკუკავშირი აკადემიური მოსწრების შესახებ.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტების გადმოყვანის მოთხოვნები ერთგვაროვნად იყოს აღწერილი ყველა შესაბამის დოკუმენტში.
2. დაწესებულებამ უფრო მეტად ჩართოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მათი დამსაქმებლები პროგრამების ანალიზში.
3. დაწესებულებამ ჩართოს კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები შრომის ბაზრის ანალიზში.
4. დაწესებულებამ ჩართოს სტუდენტებით შეფასების ანგარიშის მომზადებაში.
5. დაწესებულებამ დააორგანიზოს სასწავლო პროცესი ისე, რომ კოვიდ პანდემიის შეზღუდვებმა გავლენა არ მოახდინოს სხვადასხვა სწავლის მეთოდის ხელმისაწვდომობაზე და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევაზე.
6. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში შემუშავდეს სტუდენტების შერჩევის საუკეთესო მეთოდები, რათა თავიდან იქნას აცილებული წინასწარი შერჩევა.
7. სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, მათ არ იციან რა მოხდება უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ევროპის უნივერსიტეტმა სტუდენტებს მიაწოდოს მეტი ინფორმაცია კარიერისა და შემდგომი სამუშაო შესაძლებლობების შესახებ.
8. სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრში გააქტიურდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
9. გთხოვთ, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ თანამშრომელთა კითხვარში არ იყოს

დამაბნეველი შეკითხვები.

10. დაწესებულებამ უზრუნველყოს შემდგომი კვლევითი საქმიანობა, მაღალი დონის პუბლიკაციებისა და ციტირების სიმრავლე აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

უნივერსიტეტის სტუდენტების დამოუკიდებელი გუნდური მუშაობის უზრუნველსაყოფად, უსდ-ში გამოყოფილია სპეციალური სივრცე (გუნდის სამუშაო სივრცე).

სიმულაციური და ვირტუალური რეალობის ცენტრები ძალიან მაღალი დონისაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, ვინაიდან უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მაღალ ხარისხს.

- აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამაში მკაფიოდაა განსაზღვრული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის მიზანია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მედიცინის სპეციალისტის მომზადება, რომელსაც აქვს პროფესიული საქმიანობისათვის საჭირო თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, პრაქტიკაში იყენებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპებს, აქვს კვლევის, ეთიკისა და კომუნიკაციის უნარები, იცავს ეთიკურ ნორმებსა და პრინციპებს და პროფესიულად ვითარდება მუდმივად ცვალებად გარემოში.

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის ნათელი და კარგად წარმოდგენილი. ისინი შეესაბამება ევროპის უნივერსიტეტის მისიას. ევროპის უნივერსიტეტი მსურველებს სთავაზობს სტუდენტზე ორიენტირებულ უმაღლეს განათლებას, ამზადებს კონკურენტულ პროფესიონალებს ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის და ხელს უწყობს ქართველი და უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზაციასა და შემოქმედებით საქმიანობას.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას. ეს უზრუნველყოფილიქნა დამსაქმებელთა ჩართულობით პროგრამის შემუშავებაში და მათი შეფასების, მოთხოვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და ანგარიში. დამსაქმებელთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და მათი მოთხოვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი გახდა. დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი პროგრამის შემუშავების დროს, ევროპის უნივერსიტეტმა გამოიყენა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის გამოცდილება.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის მიზნები საჯარო და ხელმისაწვდომია ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<https://eu.edu.ge>).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და პროგრამის დანართები;
- ევროპის უნივერსიტეტის მისია;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კომიტეტის სხდომის ოქმები;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<https://eu.edu.ge>);
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამამ (რამდენადაც ის ერთ-ერთია საქართველოში არსებული მსგავსი პროგრამებიდან) ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოების განვითარებას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რასაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები აღწერს, თუ რა ცოდნა და უნარები ექნება კურსდამთავრებულს. სასწავლო პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული. ისინი მოიცავს: დარგობრივ ცოდნას, პაციენტის კონსულტაციას, კლინიკური შემთხვევის შეფასებას, გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, წამლის დანიშნვას, პრაქტიკული პროცედურების ჩატარებას, ეფექტურ სამედიცინო კომუნიკაციას, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და იურიდიული პრინციპების გამოყენებას, პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასებას, მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენებას, სამედიცინო კონტექსტში უახლესი ინფორმაციისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას, სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში სამეცნიერო საქმიანობის პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენებას, ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელებას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვასა და პროფესიონალიზმს. სწავლის ყველა შედეგი წარმოდგენილია დეტალური და ყოვლისმომცველი გზით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი (NQF) განსაზღვრულ განათლების შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და ეფუძნება ამ ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ სამიზნე ნიშნულებს.

პროგრამის სწავლის შედეგები კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს განათლება გააგრძელონ განათლების შემდეგ საფეხურზე.

სასწავლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, აქედან გამომდინარე, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის არის შესაბამისობა.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი კარგად იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

სასწავლო გეგმა შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიხედვით.

პროგრამის პერსონალი უზრუნველყოფს, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ფლობდეს ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.

პროგრამას აქვს განსაზღვრული მექანიზმი სწავლის შედეგების შესაფასებლად. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად, გამჭვირვალედ და რეგულარულად.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სწავლის შედეგების სპეციალური რუკა, რომელიც აღნიშნავს თუ რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტულ სწავლის შედეგს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სწავლის შედეგები არის მიღწევადი, გაზომვადი და რეალისტური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი პროგრამა და პროგრამის დანართები;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- დამსაქმებლის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი, ანგარიში ანალიზის შედეგების გამოყენების შესახებ;
- დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი პროგრამის კომიტეტის შეხვედრები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტირებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზირება, პროგრამისათვის შესაფასებელი სადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის მკაფიო, სამართლიანი, კანონმდებლობის შესაბამისი და უზრუნველყოფს პროგრამის დაფარვისთვის საჭირო ცოდნის მქონე სტუდენტების მიღებას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად დაკავშირებულია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულ სტუდენტებს მოეთხოვებათ ქართული ენის კომპეტენცია B2 დონეზე, მაგრამ პროგრამის აღწერის მიხედვით, საჭიროა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. ეს შეიძლება იყოს ტექნიკური შეცდომა, მაგრამ საკმაოდ დამაბნეველია. ენობრივი კომპეტენციის შეფასების მეთოდოლოგია დეტალურადაა აღწერილი შესაბამის დოკუმენტში.

ვებ-გვერდზე სიაში აღნიშნულია ქართულენოვანი სამედიცინო პროგრამა, როგორც 2021 სასწავლო წლის მიღებისთვის ხელმისაწვდომი პროგრამა (<https://www.eu.edu.ge/ge/how-apply>). ამან შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს განმცხადებლები. დაბნეულობის თავიდან აცილების მიზნით, ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას აუცილებლად უნდა ჰქონდეს შენიშვნა, რომ აკრედიტაციის პროცედურები ჯერ არ დასრულებულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- ვებ-გვერდი (შემოწმდა 2021 წლის 8 აპრილს);
- ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის განსაზღვრის წესი (შემოწმდა 2021 წლის 9 აპრილს);
- გასაუბრების შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>გთხოვთ, გააკეთოთ შემდეგი შესწორება: თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, ევროპის უნივერსიტეტში გადმოსულ სტუდენტებს მოეთხოვებათ ქართული ენის კომპეტენცია B2 დონეზე, მაგრამ პროგრამის აღწერის მიხედვით, საჭიროა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე.</p> <p>დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ ვებ-გვერდზე განთავსებული მონაცემები შეცდომაში არ შეიყვანს ამჟამინდელ და მომავალ სტუდენტებს.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტების გადმოყვანის მოთხოვნები ერთგვაროვნად იყოს აღწერილი ყველა შესაბამის დოკუმენტში.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>o პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტირებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაციაშეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შემუშავების პროცესი განხორციელდა უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, მათ შორის პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. ძირითადად, ეს განხორციელდა გამოკითხვის ანალიზით და ამ მონაცემების პროგრამის შინაარსში ჩართვით.

უნდა აღინიშნოს, რომ დამსაქმებელთა უმეტესობა, ვისთანაც კითხვარები გაიგზავნა, იმ კლინიკური დაწესებულებების წარმომადგენლები არიან, რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ უნივერსიტეტის სასწავლო ბაზებს და ისინი გარკვეულწილად მიკერძოებულნი იყვნენ შეფასების დროს. ამასთან, არ იქნა მოწოდებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების დამსაქმებელთა პროგრამის შემუშავებაში ჩართვის დამადასტურებელი საბუთები. მიმდინარე და ახალი პროგრამებისთვის კარგი იქნებოდა უსდ-ს კურსდამთავრებულების ნამდვილი დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ინფორმაცია.

ბაზრის კვლევა ამ კონკრეტული პროგრამისთვის იძლევა აღწერით სტატისტიკას და ნაკლებ ანალიტიკურ მიდგომას. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია დამსაქმებლის მხრიდან მოთხოვნა მედიცინის სპეციალისტზე, თუმცა კვლევის შედეგები ამას არ აჩვენებს. კითხვარში მხოლოდ ერთი კითხვა იყო იმ სამედიცინო სპეციალისტთან დაკავშირებით, რომელიც, ამჟამად, ძალიან მოთხოვნილია. დამსაქმებლების წარმომადგენლებმა გამოკვეთეს მოთხოვნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციალისტებსა და ექთნებზე, მაგრამ ახალი პროგრამა მიზნად არ ისახავს არც ერთი მათგანის მომზადებას. გარდა ამისა, ახალ პროგრამაზე მაღალი მოთხოვნა არ არის გამყარებული ობიექტური რიცხვითი მონაცემებით, რომლებიც მოცემულია ბაზრის კვლევის დოკუმენტში. ის გვიჩვენებს, რომ ბოლო წლის განმავლობაში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამებზე (მთელ საქართველოში) განაცხადები შემცირდა (2019 - 9194 განაცხადი, 2020 - 7281 განაცხადი). შემცირების იგივე ტენდენცია აისახება ყოველწლიურად შეთავაზებულ სამუშაო ადგილებზეც (2018 - 636 სამუშაო შეთავაზება, 2019 - 230 შემოთავაზება). ამავდროულად, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, მედიცინის სპეციალისტების რაოდენობა ამ პერიოდის განმავლობაში 1000-ით გაიზარდა. მიუხედავად ყველა ამ მონაცემისა, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შეფასებით, სამედიცინო პროგრამებზე მოთხოვნა გაიზარდა. რაც შეეხება სტუდენტთა ჩართულობას, ის ეფუძნება მხოლოდ სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზს და სინამდვილეში არც ერთი სტუდენტი არ ყოფილა ჩართული პროგრამის ან თვითშეფასების სამუშაო ჯგუფში. კვლევის ანალიზში აღწერილია, რომ სტუდენტებს გაუგზავნეს ახალი პროგრამა. მათ უნდა შეეფასებინათ რამდენიმე კომპონენტი და წარმოედგინათ წინადადებები. თავად სტუდენტები (ინტერვიუს შედეგების მიხედვით) კმაყოფილები არიან და აცხადებენ, რომ მათ მოსაზრებებს ყოველთვის ითვალისწინებენ საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირებისას უნივერსიტეტში.

კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ უნივერსიტეტი უზავენის მათ კითხვარებს, მაგრამ მათ, როგორც წესი, პასუხის გაცემის დრო არ აქვთ. კვლევის ანალიზმა აჩვენა, რომ კითხვარზე მხოლოდ 3 პასუხი იყო გასაცემი. კურსდამთავრებულთა უმეტესობამ არ იცის, რომ ახალი პროგრამის ინიცირება მოხდა, შესაბამისად, და არც წვლილი შეუტანია მასში.

პროგრამის შესაფასებლად მოწვეულიქნა გარე ექსპერტი, რომელმაც დაწესებულებას მიაწოდა საფუძვლიანი ანგარიში. შესაბამისი რეკომენდაციები გათვალისწინებულიქნა. ახალი პროგრამა გაანალიზებულია 5 სხვა სამედიცინო პროგრამასთან შედარებისგზით (საიდანაც 3 საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამაა), გამოიკვეთა სხვა პროგრამების კარგი პრაქტიკა და ზოგი მათგანი გათვალისწინებულია.

პროგრამა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კრედიტებს ძირითად და თავისუფალ კომპონენტებში:

ძირითადი კომპონენტები, საერთო ჯამში, 334 კრედიტი, მოიცავს შემდეგს:

- სავალდებულო კომპონენტები - 324 კრედიტი;
- არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი;
- სავალდებულო თავისუფალი კომპონენტი - 16 კრედიტი;
- არჩევითი თავისუფალი კომპონენტი - 10 კრედიტი;

პროგრამის სტრუქტურა შედგება 4 ეტაპისგან (ბლოკისგან):

- ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურა და ფუნქციები (I-II კურსი)
- ჯანმრთელობისა და დაავადების მექანიზმები (კურსი III)
- ძირითადი კლინიკური ფაზა (კურსი IV-V)
- კლინიკური ფაზის დასკვნითი ეტაპი (VI კურსი)

პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს მედიცინის დარგობრივ სამიზნე ნიშნულებს. ჰორიზონტალური ინტეგრაცია განხორციელდა ერთი და იგივე დონის კურსების კომბინირებით. ამავდროულად, შეიმჩნევა სპირალური სასწავლო გეგმის ზოგიერთი ელემენტი (მაგალითად, რადიოლოგია ისწავლება როგორც ძირითადი მეცნიერებების ნაწილი, და მოგვიანებით კლინიკურ კურსებთან ერთად).

კურსების სახელები კარგად ჟღერს, მაგრამ შინაარსის ინტეგრირება არ არის სათანადო (მაგალითად, ერთსა და იმავე კვირის განმავლობაში ისწავლება სისხლის უჯრედების ჰისტოლოგია და თირკმლის მეტაბოლიზმის სამედიცინო ქიმია). ეს უფრო მეტად კურსების მექანიკურ გაერთიანებას ჰგავს, ვიდრე ინტეგრაციას.

პროგრამა მოიცავს PBL და CBL მიდგომებს. 32 ECTS კრედიტია გამოყოფილი კლინიკური უნარებისთვის და 10 ECTS - სამეცნიერო უნარებისთვის.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. პროგრამის კომპონენტები ლოგიკურად შეკრული და თანმიმდევრულია. არჩევითი კურსები ხელმისაწვდომია მე-2 და მე-4 სემესტრებში, მათი რიცხვი არ იზრდება სწავლის ბოლო წლებში.

ქართულენოვანი პროგრამის სტუდენტებისათვის მე-7 სემესტრიდან დაწყებული კურსების წინაპირობად დაემატა ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნა. ეს იძლევა ინგლისურენოვანი წიგნების გამოყენების საშუალებას ძირითადი სასწავლო ლიტერატურის სახით.

პროგრამა სტრუქტურირებულია საქართველოს კანონმდებლობის და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. მიმდინარე აქტიური პროგრამების დეტალები იოლად ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი) არის თანამიმდევრულად და ლოგიკურად სტრუქტურირებული. შემდეგი კომპონენტის დაშვების წინაპირობები ადეკვატურია. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს ახალი კვლევის შედეგებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს, მაგრამ უნივერსიტეტის საკუთარი კვლევის შედეგების პროგრამაში ინტეგრირება არ იქნა აღნიშნული არც პროგრამაში, არც სხვა მოწოდებულ დოკუმენტებში და არც ინტერვიუების დროს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ევროპის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სილაბუსები;
- გამოკითხვის შედეგები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების), ამ შედეგების ანალიზი;
- ბაზრის ანალიზი;
- გასაუბრების შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.</p> <p>უზრუნველყავით, რომ ყველა ინტეგრირებული კურსი შეესაბამებოდეს ლოგიკური კონსტრუქციისა და სათანადო ინტეგრაციის კონცეფციას.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაწესებულებამ უფრო მეტად ჩართოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები და მათი დამსაქმებლები პროგრამების ანალიზში. • დაწესებულებამ ჩართოს კურსდამთავრებულთა დამსაქმებლები შრომის ბაზრის ანალიზში. • საგანმანათლებლო პროგრამებზე არსებული მოთხოვნა გაანალიზდეს გაზომვად და სანდო მონაცემებზე დაყრდნობით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტირებული პროგრამის შემთხვევაში</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

<p>2.3 სასწავლო კურსი</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>კურსებში საკონტაქტო საათების რაოდენობა და სწავლებისა და სწავლის მეთოდები (ლექცია, სემინარი, ლაბორატორიაში მუშაობა და ა.შ.) შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თითოეულ კურსში აღნიშნული სტუდენტის სწავლის შედეგები შეესაბამება</p>

პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის წილი სწავლის შედეგების მიღწევაში დეტალურად არის აღწერილი სწავლის შედეგების რუკაზე, რომლის მიხედვითაც თითოეული კურსი ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას გაცნობის, პრაქტიკისა და/ან დახელოვნების დონეზე. ეს დოკუმენტი გასაგებია, ის მარტივად და ეფექტურად გვიჩვენებს, თუ როგორ აღიქვამენ პროგრამის შემქმნელები სამუშაო პროცესს. კურსების ყველა სწავლის შედეგის გაზომვა შესაძლებელია სილაბუსებში აღწერილი მეთოდების გამოყენებით. კრედიტების განაწილების სისტემა, ისევე როგორც საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ლოგიკურია და შეესაბამება თითოეული კურსის მახასიათებლებს. პროგრამის ხელმძღვანელებმა საფუძვლიანად უპასუხეს ექსპერტის შეკითხვებს აღნიშნული რუკის შესახებ და გამოავლინეს, რომ გადაწყვეტილებები, პროგრამის დაგეგმვის თითოეული ამ კომპონენტისთვის, მიღებულ იქნა ღრმა ანალიზისა და დისკუსიის საფუძველზე.

როგორც ჩანს, სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის უმეტესობა არ იცნობს პროგრამის სწავლის შედეგებსა და გზებს, რომლითაც კურსები ხელს უწყობს ამ შედეგების მიღწევას (ამას აჩვენებს ინტერვიუს შედეგები), მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგიური პერსონალის 30 წევრი მონაწილეობდა გამოკითხვაში, სადაც მათ სთხოვეს შეეფასებინათ სწავლის შედეგები და უმეტესობის შეფასება დადებითი იყო. ამავდროულად, პერსონალი დეტალურად აღწერს კრედიტების განაწილების პროცესს და ადასტურებს, რომ ინტეგრირებულ პროგრამაზე მუშაობისას მიმდინარეობდა დისკუსიები.

სასწავლო გეგმა და სილაბუსები მოიცავს „მედიცინის დარგობრივ მახასიათებელს“ და „სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) ძირითადი სამედიცინო განათლების ხარისხის განვითარების გლობალურ სტანდარტებს“. როგორც 2.2 სტანდარტის აღწერილობით ნაწილშია ნახსენები, კიდევ უფრო უნდა განვითარდეს კურსებში დისციპლინების ურთიერთმიმართება.

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა, ასევე, არ იციან კურსებისა და მთელი პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ. მათ განაცხადეს, რომ დამთავრების შემდეგ შეუძლიათ გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში იმუშაონ, მაგრამ არ იცნობენ და არ ფლობენ ზუსტ კომპეტენციებს, რომელთა ფლობაც ევალებათ. უნდა აღინიშნოს, რომ სწავლის შედეგების შესახებ ინფორმირებულობა იყო ერთ-ერთი კითხვა სტუდენტთა გამოკითხვაში და პასუხების 68%-ის მიხედვით, მათ იცოდნენ პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და სასწავლო გეგმის შესახებ. თითქმის 22% კი უპასუხა, რომ ნაწილობრივ იცოდა ეს ყველაფერი. ინტერვიუს შედეგებმა ეს ვერ დაადასტურა. სტუდენტების უმეტესობა ვერ აღწერს მათი

პროგრამისა და კურსების სწავლის შედეგებს.

შეფასების მეთოდები სწავლის ყველა შედეგის შეფასების საშუალებას იძლევა. სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები აღწერილია შესაბამის დოკუმენტებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებასა და ზედამხედველობას უწევს ამ პროცესს.

სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა არის თანამედროვე, დაფუძნებულია სფეროში არსებულ მიღწევებზე და შეესაბამება სასწავლო პროგრამის შინაარსსა და კურსის სწავლის შედეგებს. კლინიკური უნარების საგნების ძირითადი ლიტერატურაა „ჰენდაუთები“, რომელთა მოწოდებაც ვერ მოხერხდა, მოთხოვნის მიუხედავად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სილაბუსები;
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- გამოკითხვის შედეგები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების), ამ შედეგების ანალიზი;
- გასაუბრების შედეგები.

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ სწავლებაში ჩართულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს ესმით პროგრამის ყველა დეტალი, განსაკუთრებით სწავლის შედეგები და კომპეტენციები. • დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ პროგრამაზე სტუდენტების მიღებამდე, არსებობს ყველა სასწავლო მასალა, მათ შორის, თითოეული კურსის „ჰენდაუთები“.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <ul style="list-style-type: none"> • დაწესებულებამ ჩართოს სტუდენტები თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში.
<p>საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შეიძლება გახდეს ეტალონი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უნივერსიტეტს აქვს კეთილმოწყობილი კლინიკური სიმულაციის ცენტრი, სხვადასხვა</p>

ლაბორატორია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ განავითარონ საჭირო უნარები როგორც კლინიკური, ასევე კვლევითი მიმართულებით. სამედიცინო ფაკულტეტის დებულება აღწერს ერთეულს - სამედიცინო კვლევით ინსტიტუტს, რომლის ფუნქციებია: კვლევის ჩატარება და ხელშეწყობა, დაფინანსების შესაძლებლობებისა და გრანტების მოძიება, სამეცნიერო ღონისძიებების მხარდაჭერა და ჟურნალის გამოცემა. ამ საქმიანობის მტკიცებულებები არ არის ნათელი და თვალსაჩინო. ცალკეული თხოვნის მიუხედავად, ინსტიტუტის თანამშრომლებმა ვერ შეძლეს სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის მტკიცებულების მოწოდება (გამოქვეყნებული ნაშრომები ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მტკიცებულება). როგორც ჩანს, სტუდენტები არ მონაწილეობდნენ კვლევით საქმიანობაში, დაწესებულებაში ვიზიტის დროს. ეს შეიძლება აიხსნას კოვიდით გამოწვეული შეზღუდვებით. სტუდენტები აცხადებენ, რომ მათ სთავაზობენ დახმარებას სამეცნიერო ნაშრომების დაწერაში. მათგანერთი გამოქვეყნდა კანადის ჟურნალში (მტკიცებულებები არ იყო მოწოდებული).

2019 წელს უნივერსიტეტმა მოაწყო სტუდენტური კონფერენცია. განცხადების ნახვა შესაძლებელია ვებ-გვერდზე: <https://eu.edu.ge/ge/news/1141-evropis-universitetma-sastumro-kompleks-bazaletshi-mekhute-studenturi-saertashoriso>.

სამეცნიერო საქმიანობის ხელშესაწყობად უნივერსიტეტმა შეიმუშავა საგრანტო სისტემა კვლევის დაფინანსებისთვის. ეს წესი იძლევა უკეთესი შეფასების საშუალებას და ასევე, იმ პროექტების დაფინანსებისმეტ შანსს, რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტების ჩართულობა.

პროგრამის სტრუქტურა სტუდენტებს აძლევს ცოდნას ძირითადი აკადემიური პრინციპებისა და კვლევის უნარების შესახებ. პლაგიატის პრევენცია და გამოვლენა კონკრეტულ დოკუმენტში არის გაწერილი, რასაც ხელს უწყობს უნივერსიტეტის მიერ შექმნილი პროგრამა „ტურნიტინი“. ტრენინგის შეთავაზება მოხდა თანამშრომლებისა და სტუდენტებისთვის (2019 წელს).

კლინიკურ	ბაზებზე	პრაქტიკის	კომპონენტი
----------	---------	-----------	------------

რეგულირდება ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით, რომლებშიც ნათლად არის აღწერილი თუ რამდენი სტუდენტი შეიძლება გამოიყოს მოცემულ დაწესებულებაში ერთჯერადად და წლის განმავლობაში, ასევე, აღნიშნულია პრაქტიკის ხანგრძლივობა. პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს მის საქმიანობას. კლინიკურ გარემოში უნარების პრაქტიკისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა არ არის მოცემული მემორანდუმებში

და არც სილაბუსებში. პრაქტიკული კომპონენტის მქონე კურსების რაოდენობა იზრდება სასწავლო წლების ზრდასთან ერთად, მაგრამ სილაბუსებში არ არის აღნიშნული პრაქტიკული საქმიანობის ზუსტი დატვირთვა თითოეულ კურსში. არც პაციენტების მინიმალური რაოდენობა და ტიპი არის განსაზღვრული კურსების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სილაბუსები;
- შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკული სწავლების დაწესებულებებთან;
- სამედიცინო ფაკულტეტის დებულება (შემოწმდა 2021 წლის 9 აპრილს, ინტერნეტში);
- ევროპის უნივერსიტეტის კვლევის დაფინანსების წესი (შემოწმდა 2021 წლის 10 აპრილს, ინტერნეტში);
- პლაგიატის გამოვლენის, პრევენციისა და მასზე რეაგირების პროცედურები და მექანიზმები (შემოწმდა 2021 წლის 10 აპრილს, ინტერნეტში);
- ვებ-გვერდი;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- დაწესებულებამ განავითაროს კვლევითი-სამეცნიერო უნარები სტუდენტებში, რაც ხელს შეუწყობს კვლევით საქმიანობას და სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტის აქტიურ განვითარებას.
- სილაბუსებში მოხდეს სტუდენტების პრაქტიკული სამუშაოს დეტალების ფორმალიზება (მაგალითად, რა დრო უნდა გაატარონ მათ პაციენტების პალატებში, რამდენი და როგორი პაციენტები უნდა მიიღონ ან გამოიკვლიონ კურსის განმავლობაში).

<p>წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების შესასრულებლად.</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

<p>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</p>
<p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების (SCL) გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლის მეთოდები მრავალფეროვანია და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ისინი ასახს დარგობრივ მახასიათებლებში ჩამოთვლილ მეთოდოლოგიას. დემონსტრაცია, ვიდეოები, PBL, CBL, ჯგუფური სამუშაოები, პრეზენტაციები, დებატები, ტრენინგები სიმულატორების გამოყენებით, ლაბორატორიული სამუშაო, პაციენტის საწოლთან სწავლება, როლური თამაში და შემთხვევის განხილვა მოცემულია სილაბუსებში და ისინი შეესაბამება კურსებს. უნივერსიტეტმა შეიძინა „სხეულის</p>

ინტერაქტიულობის“ ("Body interact") სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კლინიკური მსჯელობისა და განსჯის უნარების შემენას სხვადასხვა შემთხვევასთანდაკავშირებით. სწავლების პროცესში ჩართული პერსონალი კარგად იცნობს ამ მეთოდებს. სტუდენტები ასახელებენ სასწავლო პროგრამებში აღწერილ ზოგიერთ მეთოდს, მაგრამ, როგორც ჩანს, სილაბუსები ყოველთვის ზედმიწევნით არ არის დაცული, რადგან სტუდენტები, ასევე, აცხადებენ, რომ მათ საშუალება აქვთ აირჩიონ რა სახის (ზეპირი ან წერიტი) გამოცდაზე გასვლა სურთ. სტუდენტების კმაყოფილების კვლევაში გვხვდება რამდენიმე უარყოფითი კომენტარი სწავლების ხარისხზე და, ასევე, იმის შესახებ, რომ პერსონალის ცალკეული წევრები სილაბუსის გეგმას საკუთარი შეხედულების მიხედვით ცვლიან. ეს არ არის ნაჩვენები სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის დოკუმენტში.

პრაქტიკული სესიებისა და კლინიკური ცვლებისთვის სტუდენტები იყოფიან 10-12 კაციან ჯგუფებად. სტუდენტები ადასტურებენ, რომ მათ აქვთ პრაქტიკის კარგი შესაძლებლობები, მაგრამ გამოკითხვაში ყველაზე ხშირად არის აღნიშნული პრაქტიკული კომპონენტის არარსებობა (ამას უსდ კოვიდ პანდემიის შეზღუდვებით ხსნის (სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზი). პაციენტებთან ურთიერთობის დროს ეს ჯგუფები კიდევ იყოფა 4-5 კაციან ქვე-ჯგუფებად, რომლებიც, ძირითადად, კლინიკურ საქმიანობას აკვირდებიან. ინტერვიუების შედეგებზე დაყრდნობით, ამის მიზეზი არის ის, რომ ბევრი პაციენტი არ თანხმდება სტუდენტების მიერ გამოკვლევის ჩატარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სილაბუსები;
- გამოკითხვის შედეგები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების), ამ შედეგების ანალიზი;
- გასაუბრების შედეგები;
- უნივერსიტეტის ობიექტები (დაწესებულებაში ვიზიტი).

რეკომენდაციები:

- ყველა სტუდენტისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საკმარისი პრაქტიკული ჩართულობა, მათ შორის პაციენტთან ურთიერთობა, რათა უნივერსიტეტის დამთავრებისას მიღწეულ იქნეს მიზანი.

<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>დაწესებულებამ დააორგანიზოს სასწავლო პროცესი ისე, რომ კოვიდ პანდემიის შეზღუდვებმა გავლენა არ მოახდინოს სხვადასხვა სწავლის მეთოდის ხელმისაწვდომობაზე და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევაზე.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შეიძლება გახდეს ეტალონი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

<p>2.6. სტუდენტების შეფასება</p>
<p>სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. ის გამჭვირვალეა და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტუდენტების შეფასების პროცედურები აღწერილია, როგორც სამართლიანი და გამჭვირვალე. სტუდენტები აღწერენ პროცესის შეუფერხებლად მიმდინარეობას, თუმცა გამოკითხვის შედეგებში მაინც გვხვდება რამდენიმე უარყოფითი კომენტარი. შეფასების კომპონენტები და მეთოდები სამართლიანია, გამოქვეყნებულია და წინასწარაა ცნობილი სტუდენტებისთვის.</p> <p>შეფასების კომპონენტები და მეთოდები მრავალფეროვანია. OSPE-ს და OSCE-ს გამოცდების ინტენსიური გამოყენებით, ისინი სათანადოდ არის შერჩეული თითოეული კურსისა და მისი</p>

სწავლის შედეგებისათვის. ამ ეტაპზე არ არსებობს ტესტების ბანკი ამ პრაქტიკული გამოცდების ჩასატარებლად. ტესტების შემუშავება და განახლება ხდება თითოეული გამოცდისთვის, მაგრამ უსდ გეგმავს ტესტებისბანკის შექმნას. ახალ ქართულენოვან პროგრამაში მრავალი კურსის (თითქმის ყველა კლინიკური კურსის) შეფასება ხდება OSCE-ს გამოყენებით, რაც შეიძლება რთული იყოს ლოჯისტიკის თვალსაზრისით. ამიტომ სათანადო მომზადება აუცილებელი იქნება.

სწავლებაში ჩართული პერსონალი კარგად იცნობს შეფასების მეთოდებს და მათ რეგულარულ ტრენინგებს სთავაზობს უნივერსიტეტი. როგორც ინტერვიუებმა გამოავლინა, სტუდენტებმა უნდა იქატიურონ და მოითხოვონ უკუკავშირი, რადგან ყველა შემთხვევაში შეფასების შესახებ უკუკავშირი არ წარმოადგენს დაწესებულებისთვის სტანდარტულ მიდგომას. როგორც შეფასებაში მონაწილე პერსონალი აღწერს, ისინი თვალყურს ადევნებენ შეფასების შედეგებს და შესაბამისად ცვლიან მეთოდებსა და შინაარსს.

კლინიკური მეცადინეობისას, როგორც წესი, არ ხდება პაციენტებთან სტუდენტების პრაქტიკული უნარების დემონსტრირება, შესაბამისად, შეფასების უმეტესი ნაწილი კლინიკურ გარემოში შემთხვევის განხილვასა და ზეპირი კითხვა-პასუხის ფორმატსემყარება. მე-5 და მე-6 წლისკლინიკური კურსების სილაბუსებში პრაქტიკული უნარების შეფასება ხდება OSCE-ს გამოცდის საფუძველზე და არ არის გათვალისწინებული პალატაში ვიზიტების დროს ჩატარებული სამუშაო.

კვლევის უნარების შეფასება („სამეცნიერო აზროვნების“ სილაბუსები) ემყარება ტესტს, ესეს, პრეზენტაციასა და მოკლე პასუხიან კითხვებს. ესესა და პრეზენტაციის საშუალებით, კვლევის უნარების პრაქტიკული გამოყენების შეფასება შესაძლებელია ნაწილობრივ, მაგრამ არა მთლიანად.

გასაჩივრების ოფიციალური პროცედურა აღწერილია სასწავლო პროცესის რეგულირების წესში, რომელიც ინტერნეტით არის ხელმისაწვდომი.

სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგებში, რამდენიმე სტუდენტი აცხადებს, რომ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა არ არის სამართლიანი და სტუდენტების შერჩევა წინასწარ ხდება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა და პროგრამის დანართები;
- სილაბუსები;
- გამოკითხვის შედეგები (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პერსონალის, დამსაქმებლების), ამ შედეგების ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- სტუდენტების პრაქტიკული უნარების შეფასება უზრუნველყოფილ იქნეს სიმულაციური ცენტრის გარდა, კლინიკურ გარემოშიც.
- უზრუნველყოფილ იქნეს სტუდენტების კვლევითი უნარების სათანადო შეფასება.
- მომზადდეს ძლიერი ბაზა OSCE-ს და OSPE-ს გამოცდებისთვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამაში დაგეგმილი დიდი რაოდენობის პრაქტიკული გამოცდების ჩატარება.
- უზრუნველყოფილ იქნეს, რომ სტუდენტებმა რეგულარულად მიიღონ უკუკავშირი აკადემიური მოსწრების შესახებ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში შემუშავდეს სტუდენტების შერჩევის საუკეთესო მეთოდები, რათა თავიდან იქნას აცილებული წინასწარი შერჩევა.

<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p> <p>o პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შეიძლება გახდეს ეტალონი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლებისმეთოდოლოგიადაორგანიზება, პროგრამისათვის ებისშეფასებისა დეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, მათ ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში და ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს.

<h4>3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები</h4>
სტუდენტი იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებასა და კარიერულ განვითარებაზე.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები იღებენ შესაბამის დახმარებას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმებისა და პროფესიული განვითარების საკითხებში, რაც რეგულირდება შპს ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით. ის ხელმისაწვდომია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ-ს) ოფიციალურ ვებ-გვერდზე. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სტუდენტური ცხოვრების ყველა ასპექტს, მაგ. სტუდენტის სტატუსის მოპოვება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე (ან მის გარეშე), სტუდენტის სტატუსის შეჩერება, შეწყვეტა, აღდგენა და ა.შ.

სტუდენტებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ისინი იღებენ დეტალურ ინფორმაციასა და შესაბამის კომუნიკაციას უნივერსიტეტის თანამშრომლებისგან, მაგ. დეკანისგან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელისგან და სასწავლო პროცესის მენეჯერებისგან.

სტუდენტები ფაკულტეტის წარმომადგენლებისგან იღებენ მყისიერ რეაგირებასა და კომუნიკაციას ელექტრონული პლატფორმის საშუალებით. ევროპის უნივერსიტეტს აქვს ელექტრონული პლატფორმა (<https://eunsis.eun.edu.ge/>). სტუდენტები იღებენ დეტალურ ინფორმაციას კურსების, ცხრლებისა და შეფასებების შესახებ, ზემოთ აღნიშნული პლატფორმის საშუალებით.

ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ დეტალური ინფორმაცია აკადემიურ პერსონალთან კონსულტაციის საათების შესახებ. ეს ინფორმაცია ადვილად ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში „მუდლის“ (Moodle) ელექტრონულ პლატფორმაზე (<https://moodle.edu.ge/moodle/>).

ევროპის უნივერსიტეტის დებულების/ წესდების თანახმად, პედაგოგიური დატვირთვის გარდა, აკადემიურ პერსონალს ევალება ყოველკვირეული კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებს კვირაში მინიმუმ 1 საათის განმავლობაში, მათ მიერ განხორციელებულ სასწავლო კურსთან დაკავშირებით.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ევროპის უნივერსიტეტში მუშაობს 2018 წლიდან. ცენტრი ხელს უწყობს კარიერული კომპეტენციების განვითარებას, აწყობს შეხვედრებს, მასტერკლასებსა და საჯარო ლექციებს, ასევე ატარებს კარიერულ საკონსულტაციო მომსახურებას (მაგ. რეზიუმეს მომზადებასთან დაკავშირებით და ა.შ.).

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის უფლებამოსილების ქვეშ არის ფსიქოლოგის კონსულტაციაც. ვინაიდან ევროპის უნივერსიტეტი წარმოადგენს მულტიკულტურულ და მრავალეროვნულ საზოგადოებას, ხორციელდება სტუდენტთა ადაპტაციის პროგრამა, რომელიც მოიცავს უცხოელ სტუდენტთა ადაპტაციის დეტალურ ხელმძღვანელობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიუჯეტი მოიცავს აღნიშნული ცენტრის საქმიანობის დაფინანსებას, მაგ. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული დახმარების ღონისძიებების.

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების (მაგ. კონფერენციის) შესახებ. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების დაფინანსება. ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, შემდეგ უნივერსიტეტებში: კორეის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯი (კორეის რესპუბლიკა); თოკატ გაზიოსმანპასას უნივერსიტეტი (თურქეთი); ივანო-ფრანკივსკის ეროვნული სამედიცინო უნივერსიტეტი (უკრაინა); დასავლეთ ყაზახეთის მარატ ოსპანოვის სახელობის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი (ყაზახეთი). მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს მედიცინის სტუდენტთა ასოციაციების საერთაშორისო ფედერაციის (IFMSA) გაცვლით პროგრამაში.

<p>უნივერსიტეტი განსაზღვრავს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს „მედიკოს“ ერთ-საფეხურიანი სამედიცინო პროგრამის 5 სემესტრი. • სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA > 3.5) <p>მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიების (მაგ. კონფერენციის) შესახებ. ბიუჯეტში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონფერენციებისა და სხვა ღონისძიებების დაფინანსება.</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p> <p>სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამომდინარე, მათ არ იციან რა მოხდება უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ ევროპის უნივერსიტეტმა სტუდენტებს მიაწოდოს მეტი ინფორმაცია კარიერისა და შემდგომი სამუშაო შესაძლებლობების შესახებ.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>უნივერსიტეტის სტუდენტების დამოუკიდებელი გუნდური მუშაობის უზრუნველსაყოფად, უსდ-ში გამოყოფილია სპეციალური სივრცე (გუნდის სამუშაო სივრცე).</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ შეესაბამება მოთხოვნებს</p>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები / ინდიკატორები, მათ შორის შესაბამისი დოკუმენტები და ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის::

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა და რომელიც შეიძლება გახდეს ეტალონი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შიამოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას, მის ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დაგეგმილი მიზნების მიღწევას.

4. ადამიანური რესურსები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში სტუდენტთა დასახმარებლად საჭირო კომპეტენციები;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის განსახორციელებლად მოწვეული აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობაა 68 (27 აფილირებული), მათ შორის 15 პროფესორი (7 აფილირებული), 18 ასოცირებული პროფესორი (6 აფილირებული), 26 ასისტენტ პროფესორი (13 აფილირებული), 9 ასისტენტი (1 აფილირებული).

სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, რასაც ადასტურებს აკადემიური ხარისხი, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პედაგოგიური გამოცდილება.

აკადემიური პერსონალი ჩართულია სამეცნიერო საქმიანობაში და ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პუბლიკაციები. აკადემიურ პერსონალს გააჩნია კომპეტენცია სწავლის შედეგების მისაღწევად. ხსენებული პროგრამის განხორციელებაში 90 მოწვეული თანამშრომელი მონაწილეობს.

პროგრამის ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობენ პროგრამის ყველა ასპექტში და აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება, იცნობენ პროგრამის ყველა კომპონენტს და მონაწილეობენ ყველა შესაძლო ცვლილებაში.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ მაღალკვალიფიციურ პერსონალს, მაღალკვალიფიციური განათლებითა და კლინიკური, ასევე კვლევების ჩატარების გამოცდილებით.

პერსონალის კითხვარს აქვს ორი ძალიან დამაბნეველი კითხვა (შეკითხვა 6 და შეკითხვა 8), სადაც თანამშრომლებმა უნდა დაასახელონ პროგრამის მიზანი და სწავლის შედეგი, რომელიც, მათი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია და უნდა იყოს შეტანილი პროგრამაში ან არ არის მნიშვნელოვანი და ამოღებულ უნდა იქნას პროგრამიდან. პასუხების ინტერპრეტაცია შეუძლებელია შეკითხვის ამ ფორმულირების გათვალისწინებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწორად დაგეგმვის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტმა შეიმუშავა "აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია", რომელიც მოიცავს პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მექანიზმს სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა, საგანმანათლებლო პროგრამების ჯგუფში მისაღები სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, სემესტრის განმავლობაში კვირაში ლექციების და პრაქტიკული სასწავლო საათების რაოდენობა, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები, აკადემიური პერსონალისთვის დაშვებული საათების მაქსიმალური რაოდენობა, ასევე მიზნები (მინიმალური პროცენტული მოთხოვნები და მაქსიმალური დაშვებები), რომლებიც დადგენილია ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი რაოდენობისა და შესაბამისი კვალიფიკაციის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს მათ კვალიფიკაციას;
- დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს პროგრამის ხემძღვანელების კვალიფიკაციას;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი, შედეგების გამოყენების ანგარიში;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კომიტეტის შეხვედრები;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრში გააქტიურდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ.
- გთხოვთ, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ თანამშრომელთა კითხვარში არ იყოს დამაბნეველი შეკითხვები.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ფორმისა და თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუების თანახმად, შპს ევროპის უნივერსიტეტი რეგულარულად აფასებს პროგრამაში ჩართულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს მათი პროფესიული განვითარების მიზნით. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება მათი ა) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ბ) აკადემიური საქმიანობის გ) აუდიტორიული საქმიანობის მიხედვით.

ა) სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობა: უნივერსიტეტმა შეიმუშავა "პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი" (დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ 2020 წლის 20 მარტის №83 ბრძანებით), რომელიც განსაზღვრავს შესაძლო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. წესი ადგენს მინიმალურ მოთხოვნებს თითოეული აკადემიური თანამდებობისთვის:

აფილირებული პროფესორი ვალდებულია შეაგროვოს მინიმუმ 50 ქულა წელიწადში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის, პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 40 ქულა, ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 25 ქულა, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - მინიმუმ 30 ქულა, ასისტენტ პროფესორი - მინიმუმ 20 ქულა, აფილირებული ასისტენტი - მინიმუმ 20 ქულა, ასისტენტი - მინიმუმ 10 ქულა. დადგენილი მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი დაჯილდოვდება ფინანსურად.

სტანდარტის შემდგომი ანალიზისათვის, უსდ-საგნ გამოთხოვილ იქნა ქულების სისტემის დეტალური აღწერა და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური ანგარიშები. როგორც მოცემული დოკუმენტებიდან დადგინდა, უმაღლესი სასწავლებლის აკადემიური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები არ ემყარება რაიმე საერთაშორისოდ აღიარებულ შეფასების მეთოდს, რაც თავის მხრივ სავალდებულო არ არის საქართველოში მოქმედი ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლისთვის, თუმცა საერთაშორისო დონეზე აღიარებული კრიტერიუმების გამოყენება მნიშვნელოვნად გაზრდის სანდოობას ამჟამად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენებული ქულათა სისტემის მიმართ. შესაძლებელია 50 ქულის მიღება მაღალი იმფაქტ-ფაქტორისა და სამეცნიერო ციტირების ინდექსის ჟურნალში მხოლოდ ერთი პუბლიკაციის გამოქვეყნებით,

სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ქულათა სისტემის შეფასების ბადაე ადგილობრივად შემუშავებულია და ამ მინიმალური მოთხოვნებისთვის დამოწმებული წყარო არ არის ნათელი; რეკომენდებულია სამეცნიერო-კვლევითი შეფასების საერთაშორისო დონეზე აღიარებული წყაროს მითითება. მიუხედავად ამისა, ინტერვიუებიდან გამოვლინდა, რომ უსდ-ს მიერ დანერგილი მექანიზმები ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობას და აკადემიური პერსონალის მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებში.

ბ)აკადემიური საქმიანობა. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს აფასებს აგრეთვე სტუდენტი, დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, საგამოცდო ცენტრის თანამშრომელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი. პროცესი ხორციელდება წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით, რომლის მიზანია ლექტორების შეფასება სწავლების მეთოდების, ცოდნის გადაცემის უნარის და ა.შ. მიხედვით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონულ პლატფორმას, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემას ([https://eunsis.eun.edu .ge /](https://eunsis.eun.edu.ge/)) კვლევის პროცესის უზრუნველსაყოფად. შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის მოტივაციისთვის, კერძოდ, თითოეული ფაკულტეტისთვის განისაზღვრება ფულადი ჯილდოები აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამი საუკეთესო წევრისთვის.

აკადემიური საქმიანობის შეფასების ჩარჩო ნათელია; გასაუბრების მიხედვით, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი კარგად არის ინფორმირებული მათი საქმიანობის შეფასების შესახებ და არ გამოხატავს რაიმე შემფოთებას პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

გ) სააუდიტორო საქმიანობა. შეფასების ძირითადი მიზანია კოლეგებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება, ასევე, პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.

შეფასება ხორციელდება რამდენიმე შემთხვევაში, პირველი სასწავლო საქმიანობა უნივერსიტეტში, სტუდენტების გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ან წინა დაკვირვებების საფუძველზე გამოვლენილი პრობლემების იდენტიფიცირება. შეფასების შედეგები, ასევე, ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს და დეკანს, საჭიროების შემთხვევაში, პასუხის მისაღებად. დეკანი და პროგრამის ხელმძღვანელი ანალიზებენ შეფასების შედეგებს, განსაზღვრავენ პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ზომებს. აუცილებლობის შემთხვევაში, ფაკულტეტი და / ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თანამშრომლობს სწავლების ინოვაციური მეთოდების ტრენინგ ცენტრთან, აორგანიზებს და ატარებს შესაბამის ტრენინგებს პროფესიული განვითარებისათვის. შეიძლება დაიგეგმოს ხელახალი შეფასება ყურადსაღები საკითხების გამოვლენის შემთხვევაში.

2019-2020 წლებში ცენტრმა ჩაატარა ტრენინგ-მოდულები 6 სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, სტუდენტზე ორიენტირებული კურიკულუმის დაგეგმვა, უმაღლესი განათლების შეფასების თანამედროვე მეთოდები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, უმაღლესი განათლების თანამედროვე მეთოდები, სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის უპირატესობები, პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის ინტეგრაცია სასწავლო პროცესში. ევროპის უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის 350 წევრი დაესწრო ტრენინგებს, რომლებიც ცენტრმა ჩაატარა 2019-2020 წლებში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით, მედიცინის ფაკულტეტს 79,934 ლარი აქვს გამოყოფილი უნივერსიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსებისა და ხელშეწყობის მიზნით. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის მხარდასაჭერად და სამუშაო გარემოს უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტში გამოიყო სპეციალური სივრცე. სააუდიტორო საქმიანობის შეფასების პროცესი გამჭვირვალე და კარგად სტრუქტურირებულია; გასაუბრების შედეგების მიხედვით, როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალი კარგად არის ინფორმირებული მათი საქმიანობის შეფასების შესახებ და არ გამოხატავს რაიმე უკმაყოფილებას პროცესის სამართლიანობასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების შედეგები, შეფასების შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ევროპის უნივერსიტეტის აუდიტორიული საქმიანობის შეფასების პროცედურები;
- სააუდიტორიო საქმიანობის შეფასების, უკუკავშირისა და შეფასების ანგარიშები;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევის შედეგები და ანგარიშები რეაგირების შესახებ;
- ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ;
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რეზიუმეები, პუბლიკაციების სია;
- ევროპის უნივერსიტეტის კვლევების დაფინანსების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის ცენტრის 2020 წლის ანგარიში განხორციელებული საქმიანობის შესახებ;
- ევროპის უნივერსიტეტის ელექტრონული პლატფორმა, სტუდენტთა საინფორმაციო სისტემა (<https://eunsis.eun.edu.ge/>);
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-საიტი (<https://eu.edu.ge/en>).
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

დაწესებულებამ უზრუნველყოს შემდგომი კვლევითი საქმიანობა, მაღალი დონის პუბლიკაციებისა და ციტირების სიმრავლე აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალში.

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

o პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სრულ და უფასო განხორციელებას. სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს ემსახურება ბიბლიოთეკა, სალექციო აუდიტორიები, ლაბორატორიები და სპეციალურად აღჭურვილი კლასები პრაქტიკული სამუშაოსთვის. ბიბლიოთეკაში შედის ყველა საჭირო ლიტერატურა და წიგნების ელექტრონული ანალოგები პროგრამის განსახორციელებლად, გარდა იმ მასალისა, რომელიც სავალდებულო ლიტერატურაა რიგ კურსებზე. ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე (<http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php>).

ბიბლიოთეკა მარტივად ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სილაბუსში ჩამოთვლილი ძირითადი ლიტერატურის ყველა შერჩეული წიგნი, რომლებიც გადამოწმებულია ვიზიტის დროს, შეგიძლიათ იხილოთ მონაცემთა ბაზაში, ე.წ. „ჰენდაუთების“ გარდა. ბიბლიოთეკას აქვს წვდომა თანამედროვე პერიოდული გამოცემების ზოგიერთ ელექტრონულ ბაზაზე, მაგრამ სტუდენტებს არ უთქვამთ, რომ იყენებენ მათ, თუმცა მათ იციან, რომ ასეთი მონაცემთა ბაზა არსებობს. ახლახანს გარემონტდა სხვა მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა. კლინიკური უნარების ცენტრი კარგად არის აღჭურვილი და აქვს საკმარისი სივრცე და შესაძლებლობები სტუდენტების გაზრდილი რაოდენობის დასაკმაყოფილებლად. მიკრობიოლოგიის, ბიოქიმიისა და პათოლოგიის ლაბორატორიები უზრუნველყოფილია საჭირო აღჭურვილობით, რომელიც ახალია და ზოგი შეიძლება ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული, თუმცა ექსპერტები დააკვირდნენ, თუ როგორ მონაწილეობენ სტუდენტები ბიოქიმიისა და მიკრობიოლოგიის ლაბორატორიების რიგ აქტივობებში.

ადგილზე ვიზიტის დროს სტუდენტები ჩაერთნენ პრაქტიკულ გაკვეთილებზე და აღნიშნეს, რომ ლაბორატორიებში შესვლამდე მათ აცნობენ უსაფრთხოების წესებს.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის უწყვეტი განხორციელების მიზნით, ევროპის უნივერსიტეტს აქვს ძალიან კარგად აღჭურვილი სიმულაციური ლაბორატორიები მანეკენებით, რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა კლინიკური უნარების შესაძენად. სიმულაციურ ცენტრში 12 ოთახია, რომლებიც გამოცდებისთვის გამოიყენება, მაგალითად, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდები(OSCE). გარდა ამისა, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქიმია-ბიოქიმია-იმუნოლოგიის, მიკრობიოლოგიისა და

პათოლოგიის სხვადასხვა სასწავლო ლაბორატორია. თანამშრომლები მონაწილეობენ კვლევაში ამ ლაბორატორიების საშუალებით. თანამშრომლების განცხადებით, სტუდენტები მონაწილეობენ ამ პროცესში, მაგრამ მტკიცებულებები ვერ იქნა წარმოდგენილი. "სველი ლაბორატორიის" კვლევაში მონაწილეობა არ არის კურსების სავალდებულო კომპონენტი, თუმცა „სამეცნიერო აზროვნების" კურსები წარმოადგენს კარგ საშუალებას სამეცნიერო სფეროში ჩასახედად და ასევე, ითხოვს "მცირე კვლევის" ჩატარებას. სილაბუსის მიხედვით, ეს სულაც არ არის პრაქტიკული, „სველი ლაბორატორიული" კვლევა.

კურსების კლინიკური ნაწილი ხორციელდება სხვადასხვა საავადმყოფოსა და კლინიკის ბაზაზე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (MOU) გაფორმებულია თითოეულ ამ დაწესებულებასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ – გვერდზე (<http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php>).

<http://esu.edu.ge/biblio/opac/index.php>

- ვიზიტი ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ბლოკში, მისამართზე: სარაჯიშვილის ქ. 17, 0189, თბილისი;
- მემორანდუმები დაწესებულებებთან;
- ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ;
- ევროპის უნივერსიტეტის ვებ-საიტი (<https://eu.edu.ge/en>);
- ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები (შემოწმდა ადგილზე ვიზიტის დროს);
- ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სიმულაციური და ვირტუალური რეალობის ცენტრები ძალიან მაღალი დონისაა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია კოვიდ-19-ის პანდემიის დროს, ვინაიდან უზრუნველყოფს სწავლების პროცესის მაღალ ხარისხს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის მიერ წინა აკრედიტაციის შემდეგ გაკეთებული მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი
(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს:

1. სწავლის გადასახადი
2. გრანტები და ჯილდოები
3. დივიდენდები
4. სხვა შემოსავლები

მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტი 2021 წლისთვის (როგორც მითითებულია დეტალებში 2021 წლისთვის ფაკულტეტის დაგეგმილ ხარჯებში) ითვალისწინებს შემდეგ მნიშვნელოვან ხარჯებს:

- ✓ აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამების მიხედვით) (მუხლი 6.1) - 19 720 ლარი;
- ✓ ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✓ ინტერნაციონალიზაცია/ საერთაშორისო ურთიერთობები;
- ✓ სასტიპენდიო პროგრამები;
- ✓ სტუდენტური კონფერენციები/ ოლიმპიადები;
- ✓ სასწავლო პროცესის პრაქტიკის სახარჯი მასალები ;
- ✓ ლაბორატორიის/ პრაქტიკის ხარჯები;
- ✓ მატერიალური და ტექნიკური ბაზის ხელახალი აღჭურვა;
- ✓ საბიბლიოთეკო ფონდი (წიგნები და ელექტრონული მონაცემთა ბაზები - პროგრამების მიხედვით).

<p>როგორც მოცემული დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, უსდ-ს მდგრადია, ბიუჯეტის ხარჯები უზრუნველყოფს პროგრამის მხარდაჭერას და, შესაბამისად, პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას. ბიუჯეტის ხარჯები შესრულებადია, რადგან მას მხარს უჭერს ფაკულტეტი და უნივერსიტეტი და უზრუნველყოფს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის შემოსავალს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • ევროპის უნივერსიტეტის საბიუჯეტო პოლიტიკა და პროცედურები; • ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი; • გასაუბრების შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება (წინადადებები), რომლებიც დაწესებულებამ უნდა განიხილოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):</p> <p>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩევა და რომელიც შეიძლება გახდეს ეტალონი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის</p>
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში</p> <p>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>შეფასება</p> <p>გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას</p> <p><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობა შეა მოთხოვნებთ ან	მეტწილად შესაბამისობ აშეა მოთხოვნებ	ნაწილობრივ შესაბამისობა შეა მოთხოვნებთ	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფ ა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და ანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5. შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზის დროს. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა დამტკიცებულია მმართველი საბჭოს 2020 წლის 17 მარტის №6 დადგენილებით. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ფუნქციონირებს დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები" შესაბამისად, პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის თანამშრომლებთან ერთად მუშაობს თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისას გამოვლენილი სისუსტეების აღმოსაფხვრელად.

ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მთავარი პრინციპებია:

ობიექტურობა, სანდოობა, უწყვეტობა და კანონიერება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს შემდეგი პრინციპით: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი ყოველთვის ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემასთან მჭიდრო თანამშრომლობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში შედის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შეფასებისა და შემუშავების პროცესი, რომელიც შესაბამისობაში იყო ყველა მოთხოვნასთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით;
- ლექტორებისა და კურსების სტუდენტების მიერ შეფასების შედეგები; შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- ადმინისტრაციული პერსონალის მიერ პროგრამის განმახორციელებელი თანამშრომლების შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სტუდენტებისა და პერსონალის ზოგადი კმაყოფილების კვლევა, შედეგებზე რეაგირების ანგარიში;
- სტუდენტების მიერ საგამოცდო პროცესის შეფასების შედეგები. შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- სააუდიტორიო საქმიანობის შეფასების შედეგები, შედეგებზე რეაგირების ანგარიშები;
- დაინტერესებული მხარეების კვლევის შედეგების ანალიზი და შედეგების გამოყენების ანგარიშები;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის კომიტეტის შეხვედრები;
- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის::

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამების შემთხვევაში

o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- გარე შეფასების მიზნით, განვითარების ეტაპზე დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა გადაეცა დამოუკიდებელ ექსპერტს გარე შეფასებისთვის (დოქტორი ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი). ექსპერტმა შეაფასა საგანმანათლებლო პროგრამა, პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგების რუკა, სასწავლო გეგმა და სასწავლო პროგრამები. შეფასების პროცესი წარიმართა აქტიური თანამშრომლობის ფორმატში, შეფასების პროცესში მიღებული იქნა მნიშვნელოვანი რჩევები და რეკომენდაციები სასწავლო კურსების შინაარსთან და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ამასთან ერთად, დაინერგა დამატებითი კურსები.
- პროგრამის არჩევითი კურსების ნუსხას დაემატა შემდეგი არჩევითი კურსები: ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიცინის ისტორია.
- შესწორებულ იქნა პროგრამის პირველი და მეორე ფაზების აღწერა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები;
- გარე ექსპერტის მიერ პროგრამის შეფასების ანგარიში;
- გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება (წინადადებები), რომლებიც დაწესებულებამ უნდა განიხილოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის::

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამების შემთხვევაში

პროგრამის მიერ წინა აკრედიტაციის შემდეგ გაკეთებული მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებისა და გაანალიზების გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება სხვადასხვა ტიპის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით:

1. სწავლის შედეგების შეფასება: პირდაპირი და არაპირდაპირი

ა.პირდაპირი შეფასების მეთოდი გულისხმობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასებას და ანალიზს კურსში, რომელიც იყენებს შეფასების სხვადასხვა ფორმას, მაგ. დახურული (შეკითხვა მრავალი არჩევითი პასუხით) და ღია კითხვები, პრაქტიკული და თეორიული ტიპის კითხვები, ლაბორატორიული დავალებები, პრეზენტაციები და პროექტები, ობიექტურად სტრუქტურირებული გამოცდები და ა.შ. არსებობს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების 5 დონე, მაგ. არ აკმაყოფილებს მოთხოვნას, სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს და ა.შ. შეფასების არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს დაინტერესებულ მხარეების (კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა) გამოკითხვას და კვლევის შედეგების ანალიზს, მაგ. დამსაქმებლები შეაფასებენ სტუდენტის ან კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების ცოდნას. კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შემთხვევაში - საკუთარი ცოდნის და უნარების შეფასება, რაც საშუალებას იძლევა პროგრამის არაპირდაპირი შეფასების საშუალებას.

2. სააუდიტორიო საქმიანობის შეფასება:

სააუდიტორიო საქმიანობაზე დასწრებისა და მისი ხარისხის შეფასებას ახორციელებს ჯგუფი, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელი, დარგის სპეციალისტი ან მასთან დაკავშირებული დარგის სპეციალისტი, პროგრამის ხელმძღვანელი და ა.შ. სასწავლო გეგმის შემდგომი შემუშავებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

3. კურსის და ლექტორის შეფასება სტუდენტების მიერ;

ხარისხის უზრუნველყოფის სასახურმა შეიმუშავა კითხვარები კურსისა და ლექტორების შეფასებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს სასწავლო მასალების, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი სამუშაო მიღწევების შესაბამისობის შეფასებას.

4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;

პროცესი მოიცავს პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის უწყვეტ შეფასებას, პროგრამის გაუმჯობესების მიზნით მიღებული შედეგების შემუშავებას და უწყვეტ გამოყენებას. შეფასებაში მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული სტუდენტები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი. შეფასების პროცესში გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილი სამუშაო საათები, პროგრამაში სტუდენტების რაოდენობა, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალისთვის დაშვებული საათების რაოდენობა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობისთვის დადგენილი მიზნები, რის საფუძველზეც განისაზღვრება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამისი რაოდენობა.

5. საგამოცდო პროცესის ადმინისტრირება არეგულირებს საგამოცდო პროცესის ორგანიზაციულ საკითხებს, დებულება ხელს უწყობს პროცესების გამჭვირვალე და სამართლიან განხორციელებას, იცავს საგამოცდო საკითხების კონფიდენციალურობას, რაც თავის მხრივ ემსახურება სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.

6. ევროპის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა დაეფუძნა ანალოგიურ პროგრამებს, რომლებიც წარმოდგენილი იყო როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით. შედარებისთვის შემდეგი კრიტერიუმები იყო დადგენილი: სწავლის ხანგრძლივობა / კრედიტების ოდენობა, ასევე მინიჭებული კვალიფიკაცია, პროგრამის ფორმატი და სასწავლო კურსების განაწილება წლების მიხედვით.

ქართულენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა ჩამოყალიბდა ამჟამად ფუნქციონირებადი ინგლისურენოვანი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გამოცდილების შესაბამისად, შედეგად გაიზარდა საათობრივი განაწილება საბაზისო / ფუნდამენტურ კურსებზე (მაგ. ბიოქიმია). აღნიშნულის მიზეზი იყო სტუდენტების მოსწრების ანალიზი და სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ევროპის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა:
<https://eu.edu.ge/sites/default/files/2019-05/%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A3%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90.pdf>
- ევროპის უნივერსიტეტის სააუდიტორიო საქმიანობის შეფასების პროცედურა:
<https://eu.edu.ge/sites/default/files/2019-05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%9D%20%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A4%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98.pdf>
- სტუდენტების მიერკურსისა და ლექტორის შეფასების კითხვარი;
- ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები შეფასების შედეგების გამოყენების მიზნით;
- დიპლომირებული მედიკოსის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან შედარების ანალიზი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის::

პროგრამის განვითარების არა-სავალდებულო რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა(ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

პრაქტიკები, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტიანია და რომლებიც შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

პროგრამის მიერ წინა აკრედიტაციის შემდეგ გაკეთებული მნიშვნელოვანი მიღწევა ან / და პროგრესი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან იმ უჯრის მონიშვნით, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება თქვენს პოზიციას

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის განვითარების	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ევროპის უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის

დასახელება, განათლების საფეხური:

დიპლომირებული მედიკოსის ერთ-საფეხურიანი

საგანმანათლებლო პროგრამა. საფეხური 7

ანგარიშის გვერდების რაოდენობა 28.

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

მარგუს ვიიგიმაა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ქეთევან კანკავა

ეკა აბუანდაძე

ლანა ბოკუჩავა